

## განმარტებითი ბარათი

### „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განაპირობა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონის მიღებამ, რომლითაც ლიცენზირებას დაქვემდებარებული 15 სახეობა გააერთიანა 3 სახეში, შესაბამისად, აუცილებელი გახდა დაზღვევის სფეროში სალიცენზიო მოსაკრებლების კორექტირება.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

წარმოდგენილი კანონპროექტი მიზნად ისახავს „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დაწესებული სადაზღვევო ლიცენზიის სახეები შესაბამისობაში იქნას მოყვანილი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონთან.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონის მიღებამდე სადაზღვევო სფეროში ლიცენზია გაიცემოდა სადაზღვევო საქმიანობის 15 სახეობაზე, გადაზღვევაზე და სადაზღვევო სფეროში საშუამავლო საქმიანობაზე. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შემდეგ მოხდა სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზირებას დაქვემდებარებული სახეების გაერთიანება და ლიცენზია გაიცემა მხოლოდ შემდეგ სახეებზე:

- ა) სიცოცხლის დაზღვევა;
- ბ) დაზღვევა (არასიცოცხლის);
- გ) გადაზღვევა.

ამ კანონპროექტით ხდება ზემოაღნიშნულ ლიცენზიის სახეებზე მოსაკრებლის ოდენობის დაწესება.

#### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

##### ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტით გათვალისწინებული მოსაკრებლის გადამხდელთა ლიცენზიის მაძიებელი – კერძო სადაზღვევო კომპანია.

##### ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტით განსაზღვრული სალიცენზიო მოსაკრებელი ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში. ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონის მიღებით გამოწვეული საშემოსავლო ნაწილის შემცირება უკვე ასახულია „2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონში.

##### ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტი ითვალისწინებს ლიცენზიის მამიებლის მიერ სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდას. რეალურად არ ხდება არსებული სალიცენზიო მოსაკრებლის ოდენობის გაზრდა.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტით მოცემული სალიცენზიო მოსაკრებელი განისაზღვრება 500 ლარის ოდენობით, რაც აუცილებელია ამ ლიცენზიის გამცემისათვის გაწეული მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად და არ იცვლება დღეს მოქმედი განაკვეთი.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტი წინააღმდეგობაში არ მოდის ევროკავშირის დირექტივებთან.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტი შემუშავებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროე მიერ, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მონაწილეობით.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი:**

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:  
საქართველოს მთავრობა.